თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას

შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

შემოსვლის თარიღი: 24.03.20

შემოსვლის დრო: 8 [illegible]

შემოსვლის №: 3544608

ფურცლების რაოდენობა: 16 [illegible]

საქმე №3/9482-19	გიგა ჩოხელი	ნანა აფციაური
	მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)	მოსამართლის სახელი და გვარი

მოპასუხე: *შენიშვნა-1*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო — ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ.N6

სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2* | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

მოპასუხის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

ნატო მაჭარაშვილი — ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

მობილური: 598598577

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

ნატო მაჭარაშვილი — მობილური: 577080819

სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა

შენიშვ

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებ სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთებ ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევები როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა

ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

შენიშვნ

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

2018 წლის 24 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ მიერ გამოიცა N2-207 ბრძანება „დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზ ქვეშეთი-კობის მონაკვეთის“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“.

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

„დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილ გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის N 354 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

2019 წლის 2 დეკემბერს N11841/01 წერილით გიგა ჩოხელს გაეგზავნა საქართველ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთ კობის მონაკვეთის მშენებლობის პროექტზე“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებ მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ასლები და „დუშეთისა და ყაზბეგ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტ ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემ დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის N2-354 ბრძანების ასლი.

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-

მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

არ ვეთანხმებით მოსარჩელის მოთხოვნას ბათილად იქნეს ცნობილი „დუშეთისა და ყაზბეგი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა დ ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემო დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის N2-354 ბრძანება.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნაში უთითებს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა დ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის N2-354 ბრძანება გამოცემულ იქნა კანონმდებლობი უხეში დარღვევით, კერძოდ, სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილები მოთხოვნათა დაცვის გარეშე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ა გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. აღნიშნულს არ ვეთანხმებით შემდე გარემოებათა გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლით დადგენილ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მკაცრად განსაზღვრული სამართლებრივ საფუძვლები, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ა გამოცემის კანომდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელთან მიმართებაში უნდ დადგინდეს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების წრე, რომელიც ქმნის ზემოაღნიშნული მუხლ შემადგენლობას - გასაჩივრებული აქტის კანონშეუსაბამობას ან მისი მომზადება-გამოცემ წესების დარღვევას.

იურიდიულ დოქტრინასა და პრაქტიკაში დადგენილია ადმინისტრაციულ -სამართლებრივ აქტის კანონიერების განსაზღვრის კრიტერიუმები: ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტი

როგორც საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დასაშვებობა და ადმინისტრაციულ
სამართლებრივი აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერება.

წინამდებარე კრიტერიუმებიდან რომელიმე მათგანის დაუცველობა კი, განაპირობებს მ
კანონშეუსაბამობას და შესაბამისად იწვევს აქტის ბათილობასაც. რაც შეეხება აქტის ბათილობ
მეორე საფუძველს, თუ რა ითვლება აქტის მომზადების და გამოცემის კანონით დადგენილ
მოთხოვნების დარღვევად, კანონი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლ
მეორე ნაწილით განმარტავს, რომ აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევა
ჩაითვლება ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე და 34-
მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონ
გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა ისეთი დარღვევ
რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარ
გადაწყვეტილება.

მოსარჩელე მხარე ვერ ასაბუთებს, თუ რომელი ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძველ
იქნა დარღვეული და შესაბამისად, არასწორ შეფასებას აძლევს ფაქტებსაც. მოსარჩელ
მითითებით, სამინისტრომ დაარღვია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი რიგ
მოთხოვნებისა, რასაც ვერ დავეთანხმებით შემდეგ გარემოებათა გამო:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-3 მუხლის „ბ" პუნქტის თანახმა
გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ეს არის „ამ კოდექსის მე-13 მუხლის გათვალისწინებ
გამოცემული აქტი, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებულ
საქმიანობის განხორციელების სავალდებულო წინაპირობაა"... ხოლო ამავე მუხლის „დ" პუნქტ
თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასება ეს არის (შემდგომ – გზშ) – შესაბამის კვლევებ
დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურა
დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინ
გარემოზე და რომელიც მიეკუთვნება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობ
და სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამავე კოდექსის II დანართ
გათვალისწინებული საქმიანობა. გზშ თავის მხრივ, ამ კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, მოიცა
ისეთ მნიშვნელოვან ეტაპებს, როგორიცაა სკოპინგი, გზშ-ის ანგარიშის მომზადება, საზოგადოებ
მონაწილეობა, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართ
მიღებული შედეგების შეფასების საფუძველზე ექსპერტიზის დასკვნის მომზადება და მ
მხედველობაში მიღება ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებ
გაცემისას ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი აღმჭურველ
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელმა, კერძოდ, სახელმწიფ
საქვეუწყებო დაწესებულებამ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2018 წლ
18 ივნისს სამინისტროში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლით დადგენილ
წესით წარმოადგინა სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, ჟინვალი-ლარსის საავტომობილ
გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგ
ანგარიში (წარმოდგენილი CD დისკზე დანართის სახით). აღნიშნული სამინისტროს მ
დადგენილი წესით განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ამ კოდექსის მ
მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით მოეწყო საჯარო განხილვა (იხ. საჯარ
განხილვის ოქმები). სკოპინგის პროცედურის შედეგად 2018 წლის 27 ივლისს გამოიცა N
სკოპინგის დასკვნა (წარმოდგენილია CD დისკზე დანართის სახით), რომლითაც დაევა
საქმიანობის განმახორციელებელს, რომ პროექტზე სავალდებულო გზშ-ის ანგარ
მომზადებულიყო წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საჭირო კვლევებ
მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით.

აღნიშნულის შემდგომ, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სკოპინგის დასკვნ
საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მოთხოვნათა დაცვი
მომზადებულ იქნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. გზშ-ს ანგარიშში მოხ
სამინისტროს მიერ სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული ინფორმაციისა და წინადადებებ
გათვალისწინება, შესაბამისად, გზშ-ს ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა ყველ
ძირითად ასპექტს გარემოს დაცვის კუთხით შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებითა დ
ალტერნატიული ვარიანტების განხილვით და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ
დოკუმენტაცია იყო დეტალური, მათ შორის გეოლოგიის ნაწილში და იმ ტექნიკური გადაწყვეტ
ნაწილში, რაც გზის მშენებლობისათვის მნიშვნელოვანია. ამასთან, გზშ-ს ანგარიშს თან ახლავ
განმარტებები სკოპინგის ანგარიშზე მიღებული სკოპინგის დასკვნის (N26; 27.07.2018) პუნქტებ
მიხედვით (იხ. დანართი).

შესაბამისად, სამინისტროში 2018 წლის 10 სექტემბერს, საქმიანობის განმახორციელებლ
მიერ წარმოდგენილ იქნა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით მომზადებული გარემოზ
ზემოქმედების შეფასების ანგარიში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, ხოლ
2018 წლის 14 სექტემბერს დამატებითი წერილით წარმოადგინა კლიმატოლოგიის,
ჰიდროლოგიის, გეოლოგიური და გეოტექნიკური კვლევის ელექტრონული ვერსიები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-11 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილ
დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ განთავსებულ იქნა ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამის
მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის განხილვის მიზნით, სამინისტრომ „გარემოსდაცვითი
შეფასების“ კოდექსის მე-12 მუხლის საფუძველზე, დადგენილი წესით უზრუნველყო საექსპერტ
კომისიის შექმნა. ამასთან, 2018 წლის 08 ნოემბერს საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტმა სამინისტროს მიმართა თხოვნით, ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის
ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების
შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის პროცედურების შეჩერების თაობაზე, ვინაიდან
შესაძლებელი იყო პროექტში განხორციელებულიყო ცვლილებები. აღნიშნულის საფუძველზე
მოხდა ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება. მოგვიანებით, 2018 წლის 27 ნოემბერს
განმეორებით მომართა სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და
ითხოვა წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაგრძელება, ვინაიდან მისი
განმარტებით, პროექტის ტექნიკური ნაწილი არ საჭიროებდა ცვლილებას და შესაძლებელი იყო
გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის კანონით გათვალისწინებული პროცედურების გაგრძელება.
სამინისტრომ განმეორებით უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სამინისტროს
ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება და საჯარო განხილვის მოწყობა 2018 წლის 10 დეკემბერს
11:00 საათზე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. კობის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში,
ხოლო ამავე დღეს 16:00 საათზე დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მლეთის სკოლაში (იხ. საჯარო
განხილვის ოქმები). სამინისტრომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი
მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყო ექსპერტიზის პროცედურის განხორციელება,
წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილა საექსპერტო კომისიამ, რის შედეგადაც საექსპერტო
კომისიის მიერ მომზადებულ იქნა ექსპერტიზის დასკვნა. საექსპერტო კომისიის დასკვნების
გათვალისწინებითა და ექსპერტიზის შედეგად, მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის N2-354
ბრძანებით, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს
საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი–ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის
მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება,
რომელიც გადაეგზავნა საქმიანობის განმახორციელებელს და განთავსდა სამინისტროს
ოფიციალურ ვებგვერდსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის
საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე (იხ. დანართი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ სამინისტრომ გარემოსდაცვით
გადაწყვეტილება გამოსცა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და სახეზე არ გვაქვს სადავო
გამხდარი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტის ბათილობის არცერთ
საფუძველი.

რაც შეეხება მოსარჩელის აპელირებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილები
გათვალისწინებულ პირობებზე, რომ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება ვე
უზრუნველყოფდა საქმიანობის განხორციელებით გამოწვეულ სხვადასხვა ფაქტორებ
პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენას, შესწავლასა და აღწერას
სამინისტრომ მაინც გასცდა დადებითი გადაწყვეტილება და „პოსტ ფაქტუმ" დაავალა
ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე იყო სავალდებულ
ასევე არის უსაფუძვლო და არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს მოსარჩელე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს
ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელსაც უნდა მოიცავდეს გზშ-ს ანგარიში, მათ შორის:

ა) დაგეგმილი საქმიანობის აღწერას, კერძოდ:

ა.ა) საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერას, GIS (გეოინფორმაციული სისტემებ
კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობისთვ
გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას;

ა.ბ) ინფორმაციას მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ, როგო
მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე;

ა.გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტა
და საწარმოო პროცესი, მათ შორის, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა, მოთხოვნი
ენერგია, წარმოებისას გამოსაყენებელი მასალა და ბუნებრივი რესურსები და სხვა) შესახებ;

ა.დ) ინფორმაციას სადემონტაჟო სამუშაოებისა და მეთოდების შესახებ (საჭიროებ
შემთხვევაში);

ა.ე) ინფორმაციას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო უარყოფითი შედეგებ
და ემისიების (როგორებიცაა წყლის, ჰაერის, მიწის და წიაღისეულის დაბინძურება, ხმაუ
ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, სითბური გამოსხივება, რადიაცია) შესახებ;

ა.ვ) ინფორმაციას იმ ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახ
რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე, აგრეთ
საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებ
განსაზღვრულ დამატებით ინფორმაციას;

ბ) ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მ
განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამ
დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელ
გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებუ
მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელ
არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;

გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძ
მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობა
ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატ
ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენ
ხარისხი), ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანუ
ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზ
ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული
არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ;

.დ) ინფორმაციას ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტებსა და მა ურთიერთქმედებაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი დ არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ, რომელიც გამოწვეულია:

დ.ა) დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებით, მათ შორის, საჭიროები შემთხვევაში, სადემონტაჟო სამუშაოებით;

დ.ბ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის ბიომრავალფეროვნების) გამოყენებით, ამ რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;

დ.გ) გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორების ემისიით, ხმაურით, ვიბრაციით, რადიაციით ნარჩენების განთავსებითა და აღდგენით;

დ.დ) გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედები რისკებით (მაგალითად, ავარიის ან კატასტროფის შემთხვევაში);

დ.ე) სხვა, არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციურ ზემოქმედებით;

დ.ვ) საქმიანობის კლიმატზე ზემოქმედებით და კლიმატის ცვლილებით განპირობებულ საქმიანობის მოწყვლადობით;

დ.ზ) გამოყენებული ტექნოლოგიით, მასალით ან/და ნივთიერებით;

ე) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზ რეაგირების სამოქმედო გეგმას;

ვ) სამოქმედო გეგმას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების, მათი თავიდან აცილების შემცირების, შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებათა შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს;

ზ) გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;

თ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;

ი) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერას, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;

კ) სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;

ლ) ინფორმაციას კვლევების მეთოდოლოგიის და გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროების თაობაზე;

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სწორედ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მოთხოვნათა დაცვით მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და ამ კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით წარმოადგინა:

ა) ამ კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებული გზშ-ის ანგარიში;

ბ) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმებისა და ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების გაანგარიშების შესახებ პროექტები;

გ) ძოთხოვნა ინფორმაციის დასაიდუმლოების შესახებ (აუცილებლობის შემთხვევაში);

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზშ-ის მოსაკრებლის გადახდ დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ამ ნაწილის „ა"–„გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების ელექტრონულ ვერსიები.

შესაბამისად, სამინისტროში წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ყველა აუცილებელი კვლევა, შეფასებულია და ასახულია ყველა საჭირო შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმები, რომლებიც მაქსიმალურად შეარბილებს საავტომობილო გზის მშენებლობისა და ოპერირების ეტაპზ უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე.

ამასთან, სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-13 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დადგენილია ის დამატებითი პირობები, რაც აუცილებელია გარემოსდაცვითი კუთხით საქმიანობის განხორციელებისათვის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-13 მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს პირობებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში და ექსპლუატაციის დასრულების შემდეგ, შესაბამისად, სამინისტროს მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულება მნიშვნელოვანია სწორედ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით, რაც თავისთავად ქმნის კომპანიისათვის წინასამშენებლო ეტაპზე და მშენებლობისა და ექსპლუატაციისას დამატებითი ვალდებულებების განსაზღვრის აუცილებლობას, რომელიც სამინისტრომ გაითვალისწინა გადაწყვეტილების გაცემისას, მოსარჩელის მოსაზრებები არის დაუსაბუთებელი და არ უნდა იქნეს განხილული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლად.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და განმარტებების საფუძველზე, ცხადია, რომ „დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის N2-354 ბრძანების გამოცემისას, არ დარღვეულა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. შესაბამისად, არ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მე-60 პრიმა მუხლით გათვალისწინებული აქტის ბათილობის არცერთი საფუძველი და მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-2

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შენიშვნა-2

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-2

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-2

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

გაცნობებთ, რომ მოსამართლე ნათია ბუსკაძის სასამართლო წარმოებაშია საქმე N3/4820-19, სადაც დავის საგანია „დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი - კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის N2-354 ბრძანების შესაბამისობის დადგენა კანონმდებლობის მოთხოვნებთან, ხოლო სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს - აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

საქმეში მოსარჩელეა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“, მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. უკვე ჩატარებულ ერთ მოსამზადებელ სხდომაზე კი, სასამართლო განჩინებით, ჩართულ იქნა მესამე პირად სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მოცემული საქმეები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდესის 182-ე მუხლის საფუძველზე, უნდა გაერთიანდეს ერთ წარმოებად.

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-2

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☒ რადგან

შენიშვნა-30

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 *შენიშვნა-32*

დანართი 1: „ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 ივნისის №2-557 ბრძანება - 2 ფურცელი.
დანართი 2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები წარმოდგენილი CD დისკზე.
ფურცლების საერთო რაოდენობა: 13

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ნინო თანდილაშვილი	12/03/2020 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-557

ქ. თბილისი

18/06/2019

ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის N112 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ნინო თანდილაშვილს მიენიჭოს უფლებამოსილება:

ა) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინტერესების წარდგენისა და დაცვის მიზნით, შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება ნებისმიერ სასამართლო ინსტანციაში, მათ შორის: ხელი მოაწეროს განცხადებებსა და მინდობილობებზე, აღძრას სარჩელი, ცნოს სარჩელი, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, შეცვალოს სარჩელის საგანი, მოურიგდეს მხარეს, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება და წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად;

ბ) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებით აღჭურვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის არყოფნის შემთხვევაში, მიენიჭოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს გიორგი ხანიშვილს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 მარტის N2-175 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი